ქალაქ თბილისში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (01.15.02.028.016) მომატებულ კ2 კოეფიციენტზე გადასახადი შეადგენს 471144.71 ლარი.
გადასახადის გადახდა მოხდება 4 ეტაპად:

I. 15.02.2017 -156144.71 ლარი
II. 15.05.2017- 105000 ლარი
III. 15.08.2017- 105000 ლარი
IV. 15.11.2017- 105000 ლარი

შპს. "არქი ბრაში"-ის
დირექტორი

მ. სულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1-2088

ბრძანება №_____

4 ნოემბერი

"____"_____2016 წ.

„ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1544 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და „ქ. თბილისში, ბარნოვის III ჩიხი №4-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.15.02.028.015, 01.15.02.028.009), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 აპრილის №1-680 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 6 ოქტომბრის №50 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1544 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.028.016) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.028.016) განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=4,7“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების

დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480). ა/ანგარიში:GE66LB0125152101628783.) 471144,71 (ოთხასსამოცდათერთმეტი ათას ასორმოცდაოთხი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი) ლარი.".

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, ბარნოვის III ჩიხი №4-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.15.02.028.015, 01.15.02.028.009), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 აპრილის №1-680 ბრძანება.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია